# სხდომის ოქმი N3

**2016 წლის 10 თებერვალი** **ქ. ხობი**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-8 თავით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ნორმების შესაბამისად, გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სხდომა.

სხდომის ადგილი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა.

სხდომა დაიწყო: 11:20 საათზე.

**საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია.

**ადმინისტრაციული წარმოების დასახელება:**

გიორგი გორგაძე, ჟუჟუნა გორგაძის, შოთა გორგაძის, ჯილდა ბერაიას, გიორგი გორგაძის (რწმუნებული გიორგი გორგაძე) განცხადების საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

განმცხადებელი - გიორგი გორგაძე, ჟუჟუნა გორგაძის, შოთა გორგაძის, ჯილდა ბერაიას, გიორგი გორგაძის (მარწმუნებელი გიორგი გორგაძე )

კომისია:

როსტევან გვარამია -საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების" თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე;

ლაშა ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ეკა ტიბუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი - კომისიის მდივანი;

სევერიან ბუკია - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

გოჩა სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

ლამზირა თოდუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

**კომისიის სხდომას არ ესწრებოდა:**

გოჩა შანავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გოჩა შანავა სხდომას ოჯახური პირობების გამო ვერ ესწრება, აქვე აღნიშნა საკრებულოს აპარატის მიერ კომისიის ყველა წევრს კანონით დადგენილ ვადაში გაეგზავნა შეტყობინება კომისიის სხდომის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ. კომისიის თავმჯდომარის კითხვაზე განმცხადებელს და კომისიის წევრებს ერთმანეთის მიმართ აცილების საკითხი არ დაუყენებიათ.

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარემ როსტევან გვარამიამ აღნიშნა რომ, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და გადაწყვიტოს გიორგი გორგაძე, ჟუჟუნა გორგაძის, შოთა გორგაძის, ჯილდა ზერაიას, გიორგი გორგაძის (მარწმუნებელი გიორგი გორგაძე) მოთხოვნა ახალი სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში თვითნებურად დაკავებული 4740მ$^2$ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ როსტევან გვარამიამ აღნიშნა რომ, გიორგი გორგაძემ, ჟუჟუნა გორგაძის, შოთა გორგაძის, ჯილდა ზერაიას, გიორგი გორგაძის რწმუნებულმა გიორგი გორგაძემ მოითხოვა განცხადების განუხილველად დატოვება.

**კომისიამ გადაწყვიტა:**

განმცხადებლების გიორგი გორგაძის (პირ. ნომერი 58001006096) მოთხოვნის საფუძველზე კომისიამ განცხადება განუხილველად დატოვა.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 30 დღის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. #3).

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2016 წლის 10 თებერვალი 11:30 წუთზე.

კომისიის თავმჯდომარე: როსტევან გვარამია

კომისიის მდივანი: ეკა ტიბუა.

კომისიის წევრები: ლაშა ცატავა

სევერიანე ბუკია

გოჩა სიჭინავა

ლამზირა თოდუა